გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №61

2024 წლის 12 აპრილი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ფ/პ ჯუმბერ ხვედელიძესთვის (პ/ნ 25001000029) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 17 იანვარს №19/202401715-20 განცხადებით მომართა მოქ. ჯუმბერ ხვედელიძემ (პ/ნ 25001000029), რომელშიც აღნიშნულია, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ჯუმბერ ხვედელიძეს შორის გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებას, 2024 წლის თებერვლის ბოლოს გასდის მოქმედების ვადა.
აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქ. ჯუმბერ ხვედელიძეს მიერ მოთხოვნილია, საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელება, რომლის საგანს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.27.096 (მდებარე გორში, მშვიდობის ქუჩა, სკვერის მიმდებარედ). დღეის მდგომარეობით იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა გასულია, განმცხადებელმა კი საიჯარო ქირა გადაიხადა პირნათლად და გამოთქვამს სურვილს გაუგრძელდეს საიჯარო ხელშეკრულება 4 წლის ვადით.
აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2024 წლის 28 თებერვლის N053-ქ, ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.27.096, დაზუსტებული ფართობი - 12,00 კვ.მ (მისამართი: ქ. გორი, მშვდობის ქუჩის მიმდებარედ), საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 4600.00 (ოთხიათას ექვსასი) ლარი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 12 კვ.მ

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ 66.45.27.096 მიწის ნაკვეთის (მდებარე გორში, მშვიდობის ქუჩა, სკვერის მიმდებარედ), პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12 კვ.მ. ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 66.45.27.096) მდებარე გორში მშვიდობის ქუჩა, სკვერის მიმდებარედ, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს ჯუმბერ ხვედელიძეს (პ/ნ 25001000029), კომერციული საქმიანობისთვის.

2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.45.27.096) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 4600.00 (ოთხიათას ექვსასი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1800 (ათასრვაასი) ლარით.

4. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.

5. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 4 (ოთხი) წლის ვადით.

6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**